

მკვდრადშობადობის სიხშირე, რისკები და მათი მართვა

ივანე ბურჯანაძე¹, ელზა ნიკოლეიშვილი²

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა
¹ზაკალავრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; ²ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

განხილულ იქნა საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში მკვდრადშობადობის მაჩვენებელი, რომლის თანახმადაც მკვდრადშობადობა მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალი რჩება. მკვდრადშობადობის მიზეზების შესწავლა კვლავ გამოწვევად რჩება. 2015 წელს NCDC-ს თანახმად, დაფიქსირდა მკვდრადშობადობის 589 შემთხვევა და მკვდრადშობადობის მაჩვენებელმა 1000 დაბადებულზე 9.8 შეადგინა. 2006 წელთან შედარებით, 2015 წელს ქვეყანაში მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე 17-დან 10-მდე შემცირდა. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლის ცენტრის ერთობლივი აქტივობების შედეგად მოხდა მკვდრადშობადობის შემთხვევათა გადამოწმება და შეჯერება, და ასევე ისტორიების შესწავლა. სამედიცინო ჩანაწერების თანახმად, მკვდრადშობადობის 82% მოხდა ანტენატალურ პერიოდში, 14% ინტრანატალურ პერიოდში, ხოლო 4%-ში ნაყოფის გარდაცვალების დროის დადგენა სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით ვერ მოხერხდა. ანტენატალურ პერიოდში მკვდრადშობილთა შორის 31% დაფიქსირებულ იქნა ორსულობის 22-27 კვირის ვადაზე, 27% - ორსულობის 28-33 კვირაზე, 13% და 29% შესაბამისად - 34-36 და 37-41 კვირის ორსულობის ვადაზე. ინტრანატალურ პერიოდში გარდაცვლილ ნაყოფთა (14%) შორის, შემთხვევათა 64% დაფიქსირდა ორსულობის 22-27 კვირის ვადაზე, 16% - ორსულობის 28-33 კვირის ვადაზე, ხოლო მკვდრადშობადობის 6% და 14% შესაბამისად დადგა ორსულობის 34-36 და ≥ 37 კვირის ვადაზე. გესტაციური ასაკის (≥ 37) მკვდრადშობილთა წონა დაბადებისას იყო 2400 გრამზე მეტი.

აბრევიატურა: NCDC- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი